



Common borders. Common solutions

„გარემოს მონიტორინგი შავი ზღვის აუზში პროგრამა კოპერნიკუსის დახმარებით“ PONTOS
Copernicus assisted environmental monitoring across the Black Sea Basin - PONTOS

შედეგები, მიგნებები და მომავალი თანამშრომლობის გზები

2022 წლის 31 ოქტომბერი, 10.00-12.00 სთ.
ბათუმი, სასტუმრო Divan Suites Batumi

მწვანე ალტერნატივას აქვს პატივი მოგიწვიოთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება პროექტის „გარემოს მონიტორინგი შავი ზღვის აუზში პროგრამა კოპერნიკუსის დახმარებით“ (Copernicus assisted environmental monitoring across the Black Sea Basin - PONTOS) ფარგლებში. პროექტის მიზანია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერება მასშტაბური და ჰარმონიზებული გარემოს მონიტორინგის საწარმოებლად შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში. მისი ღონისძიება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის (ENI) საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის გაერთიანებული საოპერაციო პროგრამა.

ამ პროექტს მწვანე ალტერნატივა საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს: სომხეთში - სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი და სომხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და წიაღის ინსპექცია; საბერძნეთში - თესალონიკის კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრი ელადა და თრაკიის დემოკრიტუსის უნივერსიტეტი; უკრაინაში - ოდესის ი. ი.მეჩნიკოვის სახელობის უნივერსიტეტი. საქართველოში პროექტის საპილოტე რეგიონია შავი ზღვის მთლიანი სანაპირო ზოლი და კოლხეთის დაბლობი.

ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გარემოს მონიტორინგი წარმოებდეს ევროკავშირში მიღებული ინსტრუმენტებითა და სტანდარტებით. სწორედ ამას ემსახურება პროექტი, რომლის ამოცანაა გარემოს სხვადასხვა კომპონენტის მონიტორინგი ევროკავშირის დედამიწაზე დაკვირვების პროგრამა - „კოპერნიკუსის“ (<https://www.copernicus.eu/en>) მეშვეობით.

შეხვედრის მიზანია დაინტერესებული მხარეებისათვის პროექტის მიერ განხორციელებული კვლევების მიგნებების გაცნობა ისეთ გარემოსდაცვითი საკითხებზე, როგორებიცაა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ცვლილებები, ტყის საფარის ცვლილება, ჭაობისა და მოტივტივე მცენარეულობის შეფასება, წყლის დაბინძურება. ასევე წარმოგიდგინებთ პროექტის მიერ შემუშავებულ ონ-ლაინ პლატფორმა PONTOS. PONTOS პლატფორმა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და სპეციალისტს სთავაზობს მარტივად გამოსაყენებელ და ადვილად ხელმისაწვდომ უფასო ონლაინ სერვისებს. პლატფორმაში ინტეგრირებულია კოსმოსური სატელიტებით, დისტანციური ზონდირებითა და სხვადასხვა კვლევებით მიღებული ინფორმაცია. გაიმართება

Common borders. Common solutions.





Common borders. Common solutions

დისკუსია პლატფორმის შემდგომი განვითარების, დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობისა და შესაძლებლობათა გაძლიერების საკითხებზე.

მედიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ დასვათ შეკითხვები მათთვის საინტერესო გარემოსდაცვით საკითხებზე; ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულებასაც ხელს შეუწყობს პროექტ PONTOS-ის შედეგები.

მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ პროექტის ვებ-გვერდი: <https://pontos-eu.aua.am/>

გთხოვთ ამ მეილზე პასუხით დაგვიდასტუროთ დასწრება 2022 წლის 24 ოქტომბრის 18.00-მდე.

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი
პროექტის მენეჯერი, მწვანე ალტერნატივა

დღის წესრიგი

თემა	მომხსენებელი	დრო
მონაწილეთა რეგისტრაცია, ყავა & ჩაი		9.30. – 10.00
მისალმება პროექტ PONTOS მიმოხილვა, კვლევების მიგნებები: გარემოსდაცვითი პრობლემები და მონიტორინგის გზები პროექტის ვიდეო	ირაკლი მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა, PONTOS-ის მენეჯერი	10.00 – 10.20.
კითხვა-პასუხი, დისკუსია	ყველა მონაწილე	10.20. – 10.40
PONTOS პლატფორმის პრეზენტაცია	ირაკლი მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა, PONTOS-ის მენეჯერი	10.40. - 11.10
კითხვა-პასუხი, დისკუსია	ყველა მონაწილე	11.10. – 11.30
მედიის შეკითხვები პროექტის გუნდს გარემოს დაცვის აქტუალურ საკითხებზე		11.10.-11.55
შეხვედრის შეჯამება	ირაკლი მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა, PONTOS-ის მენეჯერი	11.55.-12.00